+

პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2022 წლის __ მაისი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს მიერ 2021 წლის IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს მიერ 2021 წლის IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს ანგარიში 2021 წლის IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს მიერ 2021 წლის IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი — მაია ბერაძე

კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე — ლევან ჩანქსელიანი

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის“ ანგარიში 2021 წლის IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“, დაფუძნებულია ზოგადსაგანმანათლებლო ინტერესებზე, რომელშიც გაერთიანებულია: მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლი, თეიმურაზ კობახიძის სახელობის სამუსიკო სკოლა და სამხატვრო სკოლა. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში 2020 წლიდან ფუნქციონირებად ყველა წრეში სწავლება უფასოა. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“ ფინანსდება მუნიციპალიტეტის მიერ 100%-ით.

ჩვენი ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიზანი და მიმართულებებია: ქალაქის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა. ბავშვებისა და ახალგაზრდების გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა, ეს სწორედ ის პრიორიტეტებია რომელსაც ეყრდნობა ჩვენი საქმიანობა.

ა(ა)იპ „წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის”: მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის, სამუსიკო და სამხატვრო სკოლების მუშაობაში წარმატებულად დაინერგა მრავალფეროვანი აქტივობები: კონკურსები, გამოფენები, ფესტივალები, სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციები, სპორტული შეჯიბრებები, შეხვედრები გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებთან და ა.შ.

2021 წლის IV კვარტლის მგომარეობით ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში“ირიცხებოდა სულ 624 მოსწავლე, ცენტრის მიზნებიდან გამომდინარე კვლავ განხორციელდა სოციალურ-კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამები.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი ახალგაზრდობის აღზრდისა და განვითარების კომპლექსური დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს მიზნობრივ სოციალურ-კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამებს, მეცადინეობა მიმდინარეობს სპეციალურად შემუშავებული სასწავლო გეგმისა და პროგრამების მიხედვით, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ირიცხებოდა 362 მოსწავლე და ფუნქციონირებდა 16,5 წრე:

- მათემატიკის წრე
- ფოლკლორული ანსამბლი
- ხელმარჯვეთა წრე
- ინგლისური ენის წრე
- საბავშვო თეატრის მოყვარულთა წრე
- ტაეკვონდოს წრე
- ბალეტის წრე
- დაწყებითი განათლების წრე
- ჭადრაკის წრე

- ვოკალურის წრე
- ქორეოგრაფიის წრე (ოთხი შტატი)
- ხალხურ საკრავთა წრე
- ეკოლოგიის წრე
- გიტარის წრე

2021 წლის IV კვარტალში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ განხორციელდა სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები:

2021 წლის 4 ოქტომბერს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის, საბავშვო თეატრის მოყვარულთა წრის მიერ გაიხსნა „საყმაწვილო სამკითველო" და სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ჩატარდა ღია კარის დღე; (წრის ხელ. ქეთინო ანდრიაძე);

9-10 ოქტომბერს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ტაეკვანდოს სპორტულ დარბაზში გაიმართა საქართველოს ეროვნული ფედერაციის ნაკრებისა და ტაეკვონდოს წრის წევრთა შორის საწვრთნელი შეკრება და ორთაბრძოლა (წრის ხელ.ზურაბ სალუქვაძე);

15 ოქტომბერს დაწყებითი განათლების წრის მიერ ჩატარდა ღია საწრეო მეცადინეობა, რომელიც მიეძღვნა დავით და კონსტანტინე მხეიძეების გმირობას (წრის ხელ. თამარ ხურცია);

15 ნოემბერს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა მოაწყო, მოსწავლეთა 75-ე სასწავლო შემოქმედებითი კონფერენცია, საქალაქო ტური;

18 ნოემბერს ჭადრაკის პოპულარიზაციის მიზნით, ჭადრაკის წრემ ჩაატარა შიდა საწრეო ტურნირი (წრის ხელ. ა. გოლეთიანი);

22 ნოემბერს „შავი ზღვის აუზის" დაცვის დღესთან დაკავშირებით ეკოლოგიის წრემ გამართა კონფერენცია (წრის ხელ. ცირა ბერეკაშვილი);

26 ნოემბერს თბილისში გამართულ ტაეკვონდოს ეროვნულ ჩემპიონატში, ოქროს მედლით დაჯილდოვდა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ტაეკვონდოს წრის მოსწავლე (წრის ხელ.ზურაბ სალუქვაძე);

16 დეკემბერს - „ნაძვის ხის ანთების" საქალაქო ღონისძიებაში მონაწილეობდა ვოკალური წრის „ონების" მოსწავლეები, (წრის ხელ. ხათუნა ბუაძე);

22 დეკემბერს მათემატიკის წრემ ჩაატარა ღია საწრეო მეცადინეობა „პითაგორა და მათემატიკა"(წრის ხელ. თორნიკე ჩიხლაძე);

27 დეკემბერს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა „ნაძვის ხე ახალი წლის სიმბოლო" საზეიმო ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობდნენ: საბავშვო თეატრის, ბალეტის და ვოკალური წრის მოსწავლეები (წრის ხელმძღვანელები: ხ. ბუაძე, ქ. ანდრიაძე, ნ.ცერცვაძე);

29 დეკემბერს ქუთაისის ნიღბების თეატრში გამართულ საახალწლო ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ქორეოგრაფიის წრის მოსწავლეებმა (წრის ხელმძღვანელები: რიმა მარგიანი, სერგო ბაბაიანი).

სამუსიკო სკოლა

წყალტუბოს სამუსიკო სკოლაში ირიცხებოდა 140 მოსწავლე. სამუსიკო სკოლა მიზანმიმართულად ემსახურება განსაკუთრებული ნიჭით დაჯილოვებულ მოსწავლეთა აღზრდა-გამოვლენას. გარდა იმისა, რომ მოსწავლე აქ იღებს დაწყებით მუსიკალურ განათლებას, ვახდენთ მათ პოპულარიზაციას, რაც გამოიხატება მოსწავლეთა მონაწილეობით რესპუბლიკის მასშტაბით სხვადასხვა ფესტივალ- კონკურსებში .

2021 წლის IV კვარტალში ოქტომბრის ბოლოს პედაგოგთა მიერ გაწეული დიდი შრომის შედეგად მოსწავლეები მზად იყვნენ საკონცერტო პროგრამით, რამაც ასახვა ჰპოვა ტრადიციულ არტფესტივალის პროექტით გამართულ აკადემიურ კონცერტზე, კონცერტი გაიმართა სკოლაში ჩამოსულ სტუმრებთან ერთობლივი შესრულებით. ეს ღონისძიება უკვე მერვე წელია ტარდება, რომელმაც დიდი შედეგი გამოიღო მოსწავლეთა და პედაგოგთა საშემსრულებლო დონის ამაღლებაში.

16 დეკემბერს ჩატარდა ერთი დახურული კონცერტი, ამ კონცერტზე მოხდა მოსწავლეების შერჩევა საშობაო კონცერტისათვის;

17 დეკემბერს ჩატარდა ღია გაკვეთილი მე-6 კლასში მუსლიტერატურაში. გაკვეთილის თემა იყო ზ.ფალიაშვილის ცხოვრება და შემოქმედება. აქტიურად იყო ჩართული პედაგოგ დარეჯან კოვზირიძის მოსწავლეები საგაკვეთილო პროცესში;

28 დეკემბერს სკოლაში ჩატარდა საახალწლო ღია კონცერტი.

1. სამხატვრო სკოლა

მოგახსენებთ, რომ სამხატვრო სკოლამ თავისი არსებობის მანძილზე არაერთი ნიჭიერი თაობა აღზარდა. სკოლის აღზრდილები დღეს პროფესიონალი მხატვრები არიან და ეწევიან შემოქმედებით მუშაობას.

სამხატვრო სკოლაში ირიცხებოდა 122 მოსწავლე. მათ პროფესიულ განათლებას აზიარებს 7 კვალიფიციური პედაგოგი. თითოეული მათგანი ეწევა აქტიურ შემოქმედებით მუშაობას და სათანადოდ ზრუნავს სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის სწორად წარმართვაზე.

მოსწავლეები სამხატვრო სკოლაში ეუფლებიან ხელოვნების სხვადასხვა დარგებს: ხატვას, ფერწერას, კომპოზიციას, ქანდაკებას, დეკორატიულ კომპოზიციას და ხელოვნების ისტორიას.

სამხატვრო სკოლას აქვს ფონდები და საგამოფენო დარბაზები, რომელსაც ემსახურება 5 სპეციალისტი. მათ მიერ მუშავდება თემები გამოჩენილ მხატვართა ,,ცხოვრებისა და შემოქმედების" შესახებ, რომელთაც თან ერთვის ნამუშევრების ექსპონირება ფართო ეკრანზე რეფერატის სახით. ამასთანავე ხდება ქ. წყალტუბოში მცხოვრებ რეწვის ოსტატთა მოძიება. ნამუშევრების შეგროვება და ფართო საზოგადოებისთვის წარდგენა პოპულარიზაცია. სამხატვრო სკოლაში სისტემატიურად ტარდება საგაზაფხულო, საშემოდგომო და საშობაო გამოფენები. მათ შორის პერსონალური, თემატური და გასვლითი ღონისძიებები. სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ უცხოეთში გამართულ გამოფენა-კონკურსებში.

2021 წლის IV კვარტალში 20 ოქტომბერს სამხატვრო სკოლაში ჩატარდა თეორიული კონფერენცია თემაზე: ''რენუარის "ცხოვრება და შემოქმედება;

16 დეკემბერს სამხატვრო სკოლის ხალხური რეწვის ოსტატებმა მონაწილეობა მიიღო ქალაქის „ნაძვის ხის" გახსნის ღონისძიებაში;

22 დეკემბერს სამხატვრო სკოლაში მოეწყო მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა.

მოგახსენებთ, რომ 2021 წლის IV კვარტალში დაზუსტებული ხარჯები იყო 130744 ლარი. ათვისებულია - 124109 ლარი 09 თეთრი

კერძოდ:

1. ხელფასები დამტკიცებულია – 109740 ლარი, ათვისებულია – 105513 ლარი და 76 თეთრი;
2. საკანცელარიო ხარჯი დამტკიცებულია – 1210 ლარი, ათვისებულია – 1210 ლარი;
3. მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა დამტკიცებულია – 1210 ლარი, ათვისებულია 1200 ლარი და 50 თეთრი;
4. საოფისე ინვენტარის შეძენა დამტკიცებულია – 3900 ლარი, ათვისებულია 3900 ლარი;
5. ოფისის მასალების შეძენა დამტკიცებულია –1000 ლარი, ათვისებულია 1000 ლარი;
6. კავშირგაბმულობის ხარჯი დამტკიცებულია – 1125 ლარი, ათვისებულია – 824 ლარი და 63 თეთრი; დაიხარჯა ადგილობრივ ტელეფონზე, ინტერნეტზე და ჯეოსელის მომსახურებაზე.
7. კომუნალური ხარჯები დამტკიცებულია – 3915 ლარი, ათვისებულია - 3014 ლარი და 20 თეთრი დაიხარჯა ელ. ენერგიის და წყლის მომსახურეობაზე;
8. რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენა დამტკიცებულია - 1000 ლარი - აუთვისებელია;
9. ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი დამტკიცებულია – 750 ლარი, ათვისებულია 600 ლარი;
10. შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯი დამტკიცებულია - 720 ლარი, ათვისებულია- 720 ლარი;
11. სამკინძაოს ხარჯი დამტკიცებულია - 130 ლარი - ათვისებულია 130 ლარი;

12. კულტურული ღონისძიებების ხარჯი დამტკიცებულია – 1800 ლარი, ათვისებულია 1800 ლარი;
13. ელექტრონული დოკუმენტების ხარჯი დამტკიცებულია 144 ლარი, ათვისებულია - 96 ლარი;
14. სხვადასხვა მასალების შეძენა (სამშენებლო, ელექტროგაყვანილობის და სხვა) - დამტკიცებულია 1100 ლარი, ათვისებულია 1100 ლარი;
15. საახალწლო განათება - დამტკიცებულია 3000 ლარი - ათვისებულია 3000 ლარი.

მომავალში „ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის" მთავარი საზრუნავი, კვლავ ბავშვებისა და ახალგაზრდების იდეური ფორმირება, მორალურ-ზნეობრივი სრულყოფა, სულიერი წრთობა, მათი ეროვნულ პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა იქნება. მოსწავლე-ახალგაზრდობის მუსიკალური, სპორტული, სახვითი ხელოვნების ნიჭიერების უნარისა გამოვლენისა და განვითარებისათვის, მიზნად ვისახავთ კიდევ უფრო მეტი შემეცნებითი ახალი ღონმისძიებების მომზადება-ჩატარებას, ახალი აქტივობების ძიებასა და სააღმზრდელო საქმიანობაში მათ პრაქტიკულ დანერგვას სახელმწიფო საგრანტო ახალი პროექტების მომზადებას.

ორგანიზაციის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი გახლავთ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. ვინაიდან სასწავლო ოთახები მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე გაზრდილ მოთხოვნებს 2018 წლიდან მოხდა ცენტრის დაქვემდებარებაში მყოფი სამხატვრო სკოლის სასწავლო ოთახების რემონტი, მუსიკალური სკოლის დარბაზის და სასწავლო ოთახების ახალი ინვენტარით აღჭურვა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სასწავლო ოთახების, სველი წერტილის კეთილმოწყობა და ინვენტარით და ტექნიკით შევსება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მოხდა წრეების რაოდენობის ზრდა. დაემატა, როგორც საგნობრივი ასევე შემოქმედებითი წრეები: მათემატიკის, დაწყებითი განათლების, გიტარის, საბავშვო თეატრის მოყვარულთა და ბალეტის წრეები. შესაბამისად მოხდა შენობაში არსებული სასწავლო ოთახების გადატვირთვა, რამაც გამოიწვია დამატებითი ოთახების საჭიროება.

აქვე მოგახსენებთ, რომ შენობაში I და III სართულზე არის აუთვისებელი ფართი, რომლის კეთილმოწყობის და ინვენტარით აღჭურვის შემთხვევაში მოხდება სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში სხვადასხვა შემოქმედებითი წრეების დანერგვა. გამომდინარე აქედან გაჩნდა ახალი პერსპექტივა მრავალფეროვანი ღონისძიებების გამართვის. არსებული მოთხოვნიდან გამომდინარე, 2019 წელს მოხდა ცენტრის ფინანსების მობილიზება და დაიწყო ცენტრში არსებული აუთვისებელი ოთახის საკონცერტო და საღონისძიებო დარბაზად მოწყობა, ტექნიკით აღჭურვა. აქედან გამომდინარე ღონისძიებები გახდა უფრო თანამედროვე და აქტუალური, შესაბამისად გაიზარდა ინტერესი წრეებისადმი მოსწავლეების და მშობლების მხრიდან, რაც გამოიხატა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მოსწავლეების კონტიგენტის ზრდა, რომლის შედეგადაც დღეის მდგომარეობით მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ირიცხება 362 მოსწავლე.

ბუნებრივია კვლავ რჩება მთავარ პრიორიტეტად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და თანამედროვე ინვენტარით და ტექნიკით აღჭურვა, სამუსიკო და სამხატვრო სკოლების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სასწავლო-სამეცადინო ოთახების, სააქტო და საგამოფენო დარბაზების კეთილმოწყობა, რაც შესაძლებელს გახდის ჩვენმა ქალაქმა უმასპინძლოს სხვადასხვა საბავშვო ფესტივალებს და კონკურსებს. მოხდეს მეტ გაცვლით პროგრამებში ჩართულობა.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი"
მმართველი

ნინო ხურცია